საქართველო
თავდაცვის სამინისტრო

GEORGIA
MINISTRY OF DEFENCE

MOD 0 14 00508468

08/08/2014

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის"
დირექტორს ბატონ **სერგი კაპანაძეს**

(მის: თბილისი, რაზმაძის ქ.N15
ტელ: 555 260927)

GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 229
თარიღი: 11 08 2014 წ.

ბატონო სერგი,

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში განხილული იქნა თქვენი მიმდინარე წლის 31 ივლისის N479 წერილი (შემ.N490233 01.08.14წ.), რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

1. სამხედრო მოსამსახურეთა პროთეზირების პროგრამა განხორციელდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და "Peter Harch Prosthetics" კალიფორნიის კორპორაციას შორის 2013 წლის 26 დეკემბერს გაფორმებული N 896 ხელშეკრულების ფარგლებში.
2. პროგრამა მოიცავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში და საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში დაშავებულ (ამპუტირებულ) 19 (ცხრამეტ) მოქმედ სამხედრო მოსამსახურეს. ამ დროისთვის პროტეზები დაუმზადდა 17 (ჩვიდმეტი)-ს და უახლოეს მომავალში დაუმზადდება 2 (ორი) სამხედრო მოსამსახურეს;
3. პროტეზირების პროგრამა დაიწყო 2013 წლის 27 დეკემბერს;
4. 2013 წლის 26 დეკემბერს გაფორმებული N 896 ხელშეკრულება მოქმედებს 3 (სამი) წლის განმავლობაში.
5. სამიზნე ჯგუფი: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში და სხვადასხვა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში დაშავებული (ამპუტირებული) მოქმედი სამხედრო მოსამსახურეები;
6. მოსაწოდებელი საქონლისა და თანმდევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 2,854,286.67 აშშ დოლარს (ორიმილიონ რვაასორმოცდათოთხმეტიათას ორასოთხმოცდაექვსი აშშ დოლარი 67 ცენტი), გარდა ამისა თავდაცვის სამინისტრომ აანაზღაურა სამხედრო მოსამსახურეთა და მათი თანმხლები პირების აშშ-ში წარგზავნის ხარჯები (ტრანსპორტირება საქართველო-აშშ, აშშ-საქართველო; განთავსება და სადღეღამისო ნორმა);
7. 2011 წლიდან 2013 წლის ჩათვლით აშშ-ს მხარის დაფინანსებით მკურნალობის, პროთეზირებისა და რეაბილიტაციის კურსი გაიარა ავღანეთის რესპუბლიკაში უსაფრთხოების ხელშეწყობის საერთაშორისო ძალების შემადგენლობაში (ISAF) და ერაყის სამშვიდობო მისიებში (OIF) დაშავებულმა (ამპუტირებულები)

0112 ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ.20 ტელ. (995 32) 2 912058
20GENERAL G. KVINITADZE STR. 0112, TBILISI, GEORGIA, TEL. (995 32) 2 9120 58
E-MAIL: MOD@MOD.GOV.GE

21(ოცდაერთი)-მა სამხედრო მოსამსახურემ. თავდაცვის სამინისტრომ აანაზღაურა მათი აშშ-ში წარგზავნის ხარჯები (ტრანსპორტირება საქართველო-აშშ, აშშ-საქართველო; განთავსება და სადღეღამისო ნორმა);

8. 2004-2012 წლებში მსგავსი პროგრამები არ განხორციელებულა.

ამასთან, გარდა ზემოაღნიშნულისა, თვალის პროთეზირებისათვის 2009 წელს გადარიცხულია 2000 ევრო (5036 ლარი) 4 პაციენტისათვის, ხოლო 2013 წელს - 2500 ევრო (5404,20 ლარი) 3 პაციენტისათვის.

პატივისცემით,

ადმინისტრაცია \ ადმინისტრაცია
ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი
მამუკა კაკალაშვილი